განმარტებითი ბარათი

2005 წელს მოხდა ჯიქიას ქუჩის მიმდებარედ, დღევანდელი ალ. იოსელიანის ქ. საავტომობილო გზის მოწყობა. არსებულმა გზამ გადაიარა რამოდენიმე მიწის ნაკვეთზე. გარკვეული მიზეზების გამო 2013 წლამდე ვერ მოხერხდა აღნიშნული პრობლემის მოგვარება.

ამ საქმის მოსაგვარებლად დიდი წვალების შემდეგ, მოხერხდა და შევიკრიბეთ ყველა მიწის ნაკვეთის მფლობელი. რის შემდეგ ჩავატარეთ გარკვეული სამუშაოები, მოვაწესრიგეთ და გავასუფთავეთ მიმდებსარე ტერიტორია სამშენებლო ნაგვისგან (უყურადღებობის გამო ნაგავსაყრელად იქცა)

ამის შემდეგ გავიარეთ კონსულტაცია ქ. თბილისის მერიის იურიდიულ სამსახურთან თუ როგორ მოგვეგვარებინა პრობლემა და იურიდული სამსახურიდან მივიგეთ გარკვეული წარსადგენი დოკუმენტები ნუსხა. გავაკეთეთ არსებული მიწის ტოპოგრაფიული ნახაზი და მივმართეთ ქ. თბილისის მერიის არქიტექტურულ სამსახურს მიწის ნაკვეთების კორექტირების თაობაზე. პარალერულად შევიტანეთ განცხადება ქ. თბილისის მერიის კეთილმოწყობის სამსახურში. დაგვაინტერესა გზის მოწყობის საფუძვლები, თუ რატომ მოხდა ამგვარი ფორმით სავტომობილო გზის მოწყობა. რაზეც პასუხი ვერ მივიღეთ, რადგანაც გზის პროექტი სამწუხაროთ არ აღმოჩნდა სამსახურის არქივში.

ქ. თბილისის მერიის არქიტექტურულ სამსახურს განცხადებით მივმართეთ 10/03/2015 წლის N AR1292742 განცხადებით სადაც შევიტანეთ მიწის ნაკვეთების დაკორექტირებული ვარიანტი, რაზეც სამსახურიდან მივიღეთ დადებითი პასუხი მაგრამ აქიტექტურის სამსახურმა გაგვიწია რეკომენდაცია და მიგვითითა გარკვეული ხარვეზი რომელიც უნდა ჩაგვესწორებინა.

ქ. თბილისის მერიის არქიტექტურულ სამსახურის მიერ მოწოდებული რეკომენდაციის გათვალისწინების შესრულების შემდეგ სამსახურმა დადებითი გადაწყვეტილება მიიღო. 04/05/2015წ. (გადაწყვეტილება **№ 1873096** (იხ.დანართი 1.1)

და თან დაურთო დანართის სახით ფოტო მასალა თუ როგორი ფორმით ხდებოდა ნაკვეთების ახალი რეგისტრაცია (იხ.დანართი 1.2)

_როგორც ზემოთ ავღნიშნე ჩვენ საქმის წარმოება დავიწყეთ10/03/2015 წელს და ქ. თბილისის მერიის არქიტექტურულ სამსახურმა თახმობა 04/05/2015 წელს (გადაწყვეტილება **№ 1873096** (იხ.დანართი 1.1 და 1,2) მიიღო. მიახლოებით ორი თვე დაგვჭირდა სასურველი შედეგის მისაღწევად.

იმ პერიოდისთვის როდესაც ჩვენ მიწის მფლობელები და ქ. თბილისის მერიის არქიტექტურულ სამსახური მუშა პროცესში ვიყავით და ვეძებდით ყველაზე ოპტიმალურ ვარიანტს *საქართველოს ეკონომიკისა და მდგარდი განვითარების სამინისტრომ* **N 882015151186 - 19/03/2015 წ** დაირეგისტრირა როგორც საკუთრება **უფლების რეგისტრაცია. თარიღი23/03/2015წ**

აუნი იმ მომენტისთვის ჩვენ *ქ. თბილისის მერიის არქიტექტურულ სამსახურის* თანხმობით მივედით საჯარო რეესტრში და შევიტანეთ განცხადება რეგისტრაციასტან დაკავშირებით რაც შემდგომ როგორც ხარვეზი გადაპარვა დაპიქსირდა.

ამ პაქტთან დაკავშირებოთ *ქ. თბილისის მერიის არქიტექტურულ სამსახურიმა* განმარტა შექმნილი უხერხულობა **N AR1307369** და გვიშუამდგომლა საქართველოს ეკონომიკისა და მდგარდი განვითარების სამინისტროსთან რის შემდეგაც სამინისტრომ დაგვთანხმდა მზგავსი ტიპის კორექტირებაზე და მოგვთხოვა ერთობლივად შეგვეტანა ყველა მესაკუთრეს სარეგისტრაციო განაცხადი საჯარო რეესტრში რადგან ზუსტად მომხდარიყო სამინისტრო მიწისა და კერზო მესაკუთრეების გამიჯვნა კორექტირებულ ვარიანტზე

აი შემდეგ რაც ხდება, ალბათ შეიძლება დავარქვათ, ცხოვრებისეული გაუთვალისწინებელი მომეტი. რის შედეგადაც ერთერთი ნაკვეთ მეპატრონე დაიკარგა... ვინაიდან კორექტირების დროს მიწის მესაკუთრეებს საჯარო რეესტრში განცხადება რეგისტრაციაზე ერთდროულად უნდა შეგვეტანა ეს ესე არ მოხდა და ვეღარ შევძელით ამ საქმის ბოლომდე მიყვანა.

დღეის მდგომარეობით ტიტქმის მსგავსი სიტუაციაა განსხვავება ისა რომ ყველა მიწის მეპატრონე ადგილზეა, მხოლოდ ამ შემთხვევაში *საქართველოს ეკონომიკისა და მდგარდი განვითარების სამინისტროს პოზიცია ჯერ არ ვიცით .* იმედს ვიქონიებთ ბევრი წლების მერე მაინც მოხდება ჩვენი მოთხოვნის დაკმაყოპილება.

იხ. დანართეი